საქართველოს მთავრობის

დადგენილება №252

2016 წლის 9 ივნისი

ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდები) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები (დანართი №1), რომელთა ფარგლებშიც, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას.

მუხლი 2

ეთხოვოთ სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს, უზრუნველყონ, ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე, საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

მუხლი 3

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული CPV კოდებისათვის, მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების შემდგომ.

მუხლი 4

ეს დადგენილება ვრცელდება ელექტრონული საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, გარდა:

ა) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა;

ბ) დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახსრებიდან განხორციელებული შესყიდვებისა.

მუხლი 5

საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარი თანხმობის გაცემის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი განსახილველად წარედგინება საქართველოს მთავრობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი №1

კოდი	დასახელება
16100000	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები ნიადაგის მოსამზადებლად ან კულტივირებისათვის
16300000	მოსავლის ასაღები მანქანები

16510000	ავტომტვირთველი ტრაილერები სოფლის მეურნეობისათვის
16520000	თვითმცლელი ტრაილერები სოფლის მეურნეობისათვის
16530000	ავტომტვირთველი ნახევარტრაილერები სოფლის მეურნეობისათვის
16540000	თვითმცლელი ნახევარტრაილერები სოფლის მეურნეობისათვის
16710000	ხელით სამართი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები
16720000	ნახმარი ტრაქტორები
16730000	გამწევი ძრავები
30211000	„მეინფრეიმი“/სერვერი
30213000	პერსონალური კომპიუტერები
30231000	გამომთვლელი მანქანების ეკრანები და სამართავი პულტები
30232000	პერიფერიული მოწყობილობები
32250000	მობილური ტელეფონები
32320000	ტელე- და აუდიოვიზუალური აპარატურა
34110000	მსუბუქი ავტომანქანები
34120000	ავტოსატრანსპორტო საშუალებები 10-ზე მეტი ადამიანის გადასაყვანად
34130000	ავტოსატრანსპორტო საშუალებები საქონლის ტრანსპორტირებისათვის
34140000	მძიმე სატვირთო მანქანები
34200000	სატრანსპორტო საშუალებების ძარები, მისაბმელები ან ნახევრადმისაბმელები
35410000	ჯავშნიანი სამხედრო მანქანები
39100000	ავეჯი*
39700000	საოჯახო ტექნიკა*
42511000	სითბოგაცვლითი დანადგარები და ჰაერის ან სხვა გაზების გასათხევადებელი მოწყობილობები
42512000	ჰაერის კონდიცირების საშუალებები
43500000	მუხლუხა სატრანსპორტო საშუალებები

*იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კოდით განხორციელებული/განსახორციელებელი შესყიდვის მთლიანი ღირებულება საბიუჯეტო წლის მანძილზე აჭარბებს 10 000.0 ლარს.